

გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონალური ოფისის მისამართი

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვლადი მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 22-27, შიდა რაიონებში - 20-25, მაღალ მთაში - 15-20 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 24 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 760 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს ამინდი შენარჩუნდება.

მშვიდობიანი და სტაბილური წინასაარჩევნო გარემოს შენარჩუნების მნიშვნელობაზე იმსჯელებს

მანანა ტაპიძე 593 10 15 17

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის



ის (OSCE/ODIHR) არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელ ოუენ მერფის შეხვედრაზე მშვიდობიანი და სტაბილური წინასაარჩევნო გარემოს შენარჩუნების მნიშვნელობაზე იმსჯელებს. მხარეებმა დაადასტურეს სამომავლო თანამშრომლობის მზადყოფნა და განიხილეს აჭარაში წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობა. მთავრობის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია არჩევნები ჩატარდეს საერთაშორისო, უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად.

მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) სადამკვირვებლო მისია საქართველოს მთავრობის მოწვევით 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს უწევს მონიტორინგს. ODIHR-ის დამკვირვებლები არჩევნების ყველა ასპექტს დააკვირდებიან არჩევნების დღემდე და შემდეგ.



წარჩინებულ მოსწავლეებს კომპიუტერები გადაეცა

მანანა ტაპიძე 593 10 15 17

ბათუმის დრამატულ თეატრში წარჩინებული მოსწავლეების დაჯილდოების ღონისძიება გაიმართა. ქალაქის სკოლების მოსწავლეებს კომპიუტერები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა ალექსანდრე წულაძემ და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა გადასცეს და მოსწავლეებს მიღწეული წარმატება მიულოცეს.

2024 წელს აჭარაში 396 წარჩინებული მოსწავლეა, აქედან 180 ბათუმის სკოლებში სწავლობს.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ფარგლებში, წარჩინებულ მოსწავლეებს კომპიუტერები ყოველწლიურად გადაეცემათ. წელს, საქართველოს მასშტაბით, ასეთი 5000-მდე მოსწავლე დაჯილდოვდება. ყოველწლიურად კომპიუტერები იმ საჯარო სკოლების მოსწავლეებს გადაეცემათ, რომლებმაც საბაზო საფეხური წარჩინებით დაამთავრეს.

პროგრამის მთავარი მიზანია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება და სკოლებში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სწავლისა და სწავლების მეთოდების გაძლიერება.



გახსნადი იპირვენის მორიგი სერია 2 «ჩატოე არის ისრაელის ირანზე თავდასხმა თავდასხვა, გაუგებარია...» 3

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციის «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დანებებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან!» ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი! წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.

„სიმღერის დღესასწაულიდან“ – „მუახეზობაში“

ოთარ ცინაიძე 599 85 21 14

მუახეველები ოთარ დავითაძე, ამირან ბერიძე და მურმან ჭალაიძე 1983 წელს დაარსებული ყველა „სიმღერის დღესასწაულის“ მომსწრე და მონაწილე არიან. მურმან ჭალაიძე მაშინ რაიონის ბირველი პირი იყო. 41 წლის განმავლობაში, ზემო შინაარსიც შეიცვალა და სახელიც - არჩევანი „მუახევეობაზე“ შეჩერდა

ხელდამწვენებული, ხალისიანი განწყობით მოვიდნენ მუახეველები ზემოზე და შემოდგომის ხევა-ბარაკა მოიტანეს, რომელიც მუახევის საჯარო და სახელოვნებო სკოლების ეზოებში გამოიფინა. სოფელ ჭვანის მკვიდრია როლიანდ ქათამაძე, რომელიც ყველა „მეთაფლე ჭვანელად“ იცნობს. მან თავლი, მისგან დამზადებული პროდუქტები და არაუპირდაპირი შესთავაზა მოზიემებს. ბართაულები დიანა ტარიელაძე წლებია ხელსაქმიანია გატაცებული. მის მიერ დამზადებულ და ზემოზე მოტანილ აქსესუარებს დამთვალიერებელიც ჰყავდა და მყიდველიც. დაბა მუახევის მკვიდრია ელზა ველიაძე-დიასამიძემ ტრადიციული აჭარული კერძები გამოიფინა. პაპოშვილენები რევაშ და შუშანა ფუტყარაძეები ცნობილი ბიზნესმენები არიან. მათი საოჯახო სასტუმრო უცხოელ და ადგილობრივ ტურისტებს მასპინძლობს. ზემოის დღესაც რევაშის სტუმრებს ყურადღებას არ აკლებდა. ყველაზე მეტი დამკვეთი მისი დამზადებულ „პიტისი არაყსა“ და თავის ჰყავდა. თამაზ დარჩიძე სოფელ ჩანჩხალიშია დაბადებული. წლების წინ ბათუმში დამკვიდრდა. იგი მშობლიური კუთხის მოსიყვარულე და ეროვნული ადატრების დამცველია, რაც კარგადაა წარმოჩენილი მის წიგნში, რომელიც ზემოის დღეს მუახეველ მეგობრებსა და ბიბლიოთეკებს გადასცა საჩუქრად.

- ბოლო დროს „მუახევეობაში“ სხვა დატვირთვა შეიძინა, - გვითხრა ანსამბლ „ფესვეების“ ქორეოგრაფმა, „საპატიო მუახეველმა“ ბადრი დარჩიძემ, - რამდენიმე დღის წინ თბილისელი მასწავლებელი მოვარდოვეთ კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართულ „ერთი ხეობის ფოლკლორის“ სადამოზე. დღესაც იგივე გავიმეორეთ.

ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ფესვეების“ მოცეკვავეებმა მასწავლებლის გამორჩეული ოცნა დაიმსახურეს. „ფესვეების“ წევრმა, 80 წელს მიტანებულმა ნიაზ ქარცვაძემ, ცქცვა „განდაგანას“ დასრულების შემდეგ, ზემო მთელი ოცნა აჭარის ავტონომიური რესპუბლი-



ბზე მილიონობით ლარია დახარჯული. უკვე ყველა სოფელსა და უბანში მოასწავლებული ან ბეტონისსაფარიანი გზებია. დიდი სამუშაოები ტარდება სტიქიისგან დაზარალებული ოჯახების დასახლკარებისთვის, სტიქიის შედეგად დაზარალებულ ტერიტორიებზე პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად. ასვალტისა და ბეტონის საფარის დაგება მიმდინარეობს ჩირაუში, თავისურსა და ლომაზე მისასვლელ საავტომობილო გზებზე. ხაბელაშვილების სამი საუყუნის ხის ხიდის სარემონტო სამუშაოებით დაიწყო მატერიალური და კულტურული ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც გაისადაც გაგრძელდება.

მუნიციპალიტეტს წარმატებები აქვს განთლებს მიმართულებით, კულტურასა და სპორტში. ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი თანხები ხმარდება სკოლების, კულტურის, სპორტული ობიექტების არსებული მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას, ახლის მშენებლობას.

„მუახევეობის“ ზემოის წინ საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ა(ა)იპ „მუახევის სპორტულ ცენტრს“ სპორტული ინვენტარი და ეკვიპირება გამოუყო, რომელიც ცენტრს მინისტრის მოვალეობის

ბენ ბრილივი მოსწავლეებისთვისაც გადასცემს კულტურის ცენტრთან არსებული ანსამბლების რეპერტუარი, სალოტარო და სახელოვნებო სკოლებთან მოქმედებს ანსამბლები. წლებიდან „მუახევეობაზე“ მოზიემთა წინაშე „განდაგანა“ შეასრულა სალოტ-

თავდაცვის ძალების ვიცე-პოლკოვნიკ, ბრიგადის ბატალიონის მეთაურ გოჩა ბათაძეს - შეიარაღებულ ძალებში ნაყოფიერი მუშაობისთვის, საზოგადოება „ხამლეთელის“ თავმჯდომარე მურად მიქელაძეს - მუნიციპალიტეტის საჯარო სფეროში ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობისთვის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ, ღირსების ორდენის მთავარი დავითაძეს - მედიცინის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის. იგი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ზემოზე ვერ გამოცხადდა და დიპლომი მის ახლობელს გადაეცა. ასევე, ზემოზე ვერ მოვიდა რუბენ დუმბაძე და დიპლომი მის ქალიშვილს გადასცეს. „საპატიო მუახეველები“ გახდნენ და დიპლომები გადაეცათ ბეზიაქალებს თინა ფუტყარაძეს, ეთერ ფუტყარაძე-მარგაშვილს, ექთან-ბებიაქა ქალ ტატიანა კილაძე-მარგაშვილს, ქორეოგრაფ რაბა ჩხლადეს, ანსამბლ „ბათუმის“ სოლისტს, სოფელ წაბლანის მკვიდრ პაატა ჭურკვიძეს.



ბარო სკოლის აღზრდელმა, „პატარების დიდი შოუს“ მონაწილე ნია ცეცხლაძემ.

სახალხო დღესასწაულზე, სათანადო რეკომენდაციისა და თვითმმართველობის ადგილობრივი ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით, წარმატებულად ადამიანებს „საპატიო მუახეველის“ წოდებას ანიჭებენ და სათანადო დიპლომს საზეიმო ვითარებაში გადასცემენ. წელს ეს პატივი 9 ღირსეულ ადამიანს ხვდა წილად. ისინი მედიცინის, კულტურისა და ეროვნული მემკვიდრეობის სხვა დარგების წარმატებული სპეციალისტები და საჯარო მოხელეები არიან.

„ბედნიერებაა, როცა მშობლიური რაიონი ამაგს გიფასებს. ეს არაა პირადი ჩილი, იგი ქართულ ხელოვნებას ეკუთვნის, მე კი მავალდებულეხს, ვაკეთო ის საქმე, რაც ქვეყნის, კუთხის ინტერესებს წაადგება“, - თქვა პაატა ჭურკვიძემ.

დაბა მუახევეში ექსპლუატაციაში შევიდა და სახელოვნებო და მოსწავლე ახალგაზრდობის სკოლის ახალი შენობა. თორნიკე რიუვაძემ იგი დათვალიერა და სახელოვნებო სკოლის მოსწავლეების შესრულებით სიმღერებიც მოისმინა.

შემდეგ სცენა მომღერლებს ანრი ჯოხაძეს, თამუნა მიქელაძეს, გიორგი ფუტყარაძეს, დიევი „ტროლს“ დაეთმო.

- აჭარა, მისი ზღვისპირეთი და მთა ჩემთვის უცხო არც ყოფილა და ვერც იქნება. შემოთავაზებან, დავსწრებოდი და რამდენიმე მუსიკალური ნომერი შემესრულებინა, სიამოვნებით დავთანხმდი. სასიხარულო ისიცაა, რომ ახალგაზრდობა იცნობს შენს ხელოვნებას და ყოველი ნომრის დასრულებას ოცნით გიფასებს. ყველა მუახეველსა და მთ სტუმრებს მივულოცავ აქ დავანებულ სახალხო დღესასწაულს. კარგია, როცა მთაში ყველაფერი ასე სათუთად ინახვენ და ეფერებიან, - თქვა ანრი ჯოხაძემ.

- მომნატრებია ჩემი მუახევი, რამდენიმე წლის შემდეგ ისევ გულთბილად მიმიდეს. ყველა გულში მიკრავდა, ჩემთან ფოტოებს ეღებდნენ. ამის საპასუხოდ თითქმის ნახევარი საათი სცენაზე ვიდექი და ჩემი შემოქმედებით მოზიემებს ვართობდი, - გვითხრა თამუნა მიქელაძემ.

სახალხო ზემო მუახევეში სადამომდეგ გაგრძელდა და ფოიერვერკებით დასრულდა.



კის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუვაძეს, სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოს მიუფე სპირიდონს.

შემსრულებელმა იოსებ ბლათურიაძე გადასცა. ზემოზე მუახეველებმა სპორტის სხვადასხვა სახეობაში სცადეს ბედი. მკლავციდში, ქუჩის კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში გამარჯვებულები სიცილებით დააჯილდოვეს.

ახალ შენობაში დაიწყო ბინა მუახევის საჯარო სკოლაში. ახალი შენობის აგებას აპირე-

მოზიემებს მიესალმნენ მუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, თორნიკე რიუვაძე, საქართველოს პარლამენტისა და აჭარის უმაღლესი საბჭოს მასპინძელი დეპუტატები ანზორ ბოლქვაძე, ფიროდონ ფუტყარაძე, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტყარაძე. საკუთარი ლექსი წაიკითხა პოეტმა, ოლადაურის საჯარო სკოლის პედაგოგმა მერაბ მაკარაძემ. სიტყვით გამოცხადებულმა ისაუბრეს იმ მნიშვნელოვან პროექტებსა და პროგრამებზე, რომლებიც წლიდან წლამდე მუახევეში ხორციელდება, კერძოდ კი ბათუმის-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალის ხიჯური-ნენის ხიდის 11-კილომეტრით მონაკვეთის რეაბილიტაციარეკონსტრუქციაზე. თაობების ოცნება იყო ჩანჩხალოსა და კლდისუბნის კლდეებში ტრანსპორტის ნორმალურად გადაადგილება. საერთაშორისო დონის პროექტია მთა ჩირაუხში ორზოლიანი „ზიბლანის“ გაკეთება. აჭარა-შავზემის, მესხეთის, აჭარა-გურჯისტის კალთებზე არსებულ 20-ზე მეტ მთაში მუახეველი მეცხოველეები ზაფხულს ატარებენ. თითქმის ყველა მთის ელექტრიფიცირე-



კაკლა თბილისში მიმგზავრება

მანანა კიბიშვილი 598 24 94 97

საქართველოს დედაქალაქში მუსიკალური ფესტივალი „შემოდგომის თბილისი“ ტარდება, რომელიც 32 წლის წინ ჩანსულ კახიძემ დააარსა. ფესტივალი თბილისის ჩანსულ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში იმართება

ნაწილობა. წელს ფესტივალზე სხვადასხვა კოლექტივი და სოლისტები გამოვლენ, მათ შორის, თბილისის სიმფონიური ორკესტრი, საქართველოს სახელმწიფო საგუნდო კაპელა (ქორმალისტი - არჩილ უშვერიძე), ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის კაპელა (მთავარი ქორმალისტი - ქეთევან მანელიშვილი, ქორმალისტი - ლელა დოლიძე), თბილისის ბავშვთა კაპელა (ქორმალისტი - გელა ფარჩუაძე), სოლისტები: სოფიო გორდელაძე (სოპრანო), ირაკლი მუჯირი (ბარი-



უკან დაბრუნება რომ შეიძლოს...

მე-7 გვერდიდან

ვარ, თუმცა, თითქმის ყოველ დღით ვლოცულობ ხატებთან, ვანთებ სანთელს ეკლესიაში, მყავს არაჩვეულებრივი ნათელია და 4 შესანიშნავი ნათელი... მწამს უფლისა, მისი ძლევამოსილებისა და კეთილისმყოფელი ძალისა. უფლის ხატება ყველგან უნდა ახლდეს ადამიანს. ღმერთი თუ შენში განსხვავებული იქნება, წინ ვერაზიანი ბოროტება ვერ დაგიდგება. მძიმე ცოდვად კი ადამიანის მიერ ადამიანის მოკვდინება მიმაჩნია.

- თქვენ და ოჯახი... რამდენად ემპათიური ხართ?
- ოჯახი ჩემთვის განსაკუთრებული ფენომენია, სიყვარულსა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული. კი, ემპათიური ვარ, რაღა თქმა უნდა, რადგანაც თანაგრძობის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოიდგენია. ემპათიურები რომ არ ვიყავთ ადამიანები, როგორ გადავლახავდით ოჯახის წევრის გარდაცვალებით გამოწვეული ტკივილით დამძიმებულ დღეებს?... ვთვლი, რომ ემპათიური ვარ საუკეთესო ხარისხით - სრულად მეს-სის ადამიანისა და თანაგრძობაც კარგად გამომიძის.

- როცა ქუჩებში მათხოვრები გხვდებიან...
- ვფიქრობ, ტურისტული პოტენციალის მქონე ჩვენს ქალაქში ამდენ ხელგამოწვდილ ადამიანს არ უნდა გხვდავდეთ. ნამდვილ შემწეობის გაცემის ობიექტებად უმე პირები მიმაჩნია და მათ მიმართ განსაკუთრებულ თანადგომას გამოვხატავ, რადგან სახელმწიფო დახმარების მიუხედავად, ვთვლი, რომ ეს საკმარისი არ უნდა იყოს მათი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის და სხვა გზა არა აქვთ, გარდა იმისა, რომ საზოგადოებისგან მიიღონ მოწყალეობა.

- იუმორი ცხოვრებაში რამდენად გეხმარება და... ხშირად ილიბო?
- იუმორის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოიდგენია - ის ყველგან მეხმარება. მუდამ ვიყავი და ვარ, ასე ვთქვათ, კამბანისის სული და გული ჩემი იუმორის წყალობით. ღიმილითაც ხშირად ვილიბო, მეუბნებიან - გიხდებათ და ვიწროვებ. თითქმის ვერ ნახავთ ჩემს ფოტოს, სადაც არ ვილიბო.

- წიგნი, რომელმაც შეგცრათ და ახლა რას კითხულობთ?
- შემძრა ერთი ლილიან ვინიჩის რომანმა „კრანა“... მასხვს, რომანის ფინალზე გული როგორ ამომიჯდა და ავქითინდი, იქვე, ბუხართან მსხდომი ბაბუა და ბებია წამოცვიდნენ და გაკვირებული მეკითხებოდნენ, რა მოგივიდაო. მეჩერ მათ ვუამბე მოკლედ წიგნის მთავარი გმირის - არტურის ტრაგიკული ცხოვრების შესახებ, ფინალმა ისინიც შეძრა. მანამდე კი, უფრო ადრეულ ასაკში, „ბიბია თომას ქოხმა“ მადგრებინა მდურარე ცრემლები. ამჟამად, სამწუხაროდ, მხატვრულ ლიტერატურას ნაკლებად ვკითხულობ, ჩემი სამუშაოდან გამომდინარე, უამრავ ტექსტზე მიწევს მუშაობა, უფრო სამეცნიერო ხასიათის და დრო აღარ მჩრება წიგნის კითხვისთვის, თუმცა, ამას წინათ წავიკითხე ჯერჯერობის მოთხრობები.

- თქვენი დამოკიდებულება ხელოვნებასთან, უპირატესობას რომელ დარგს ანიჭებთ?
- „არს ლონვა, ვიტა ბრევის“ - ხელოვნება გრძე-


არჩვენაში მონაწილე სუბიექტების საუკრადლოდ!

ფსიხიანი წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო რეკლამისთვის გაზეთი «აჭარა» ყოველ ნომერში გამოყოფს სამ შავ-თეთრ გვერდს, რომელთა საერთო ფართი შეადგენს 2700 კვ სანტიმეტრს, აგრეთვე ბოლო - ფერად გვერდს, რომლის ფართიც 900 კვ სანტიმეტრია. ფასი: შავ-თეთრ გვერდზე (1 კვ სანტიმეტრი) - 30 თეთრი; ფერად გვერდზე (1 კვ სანტიმეტრი) - 50 თეთრი.

სსოვნა

ზურაბ დარჩიძე

ქვეყნის პედაგოგიურმა საზოგადოებამ, შუახვევის ინტელიგენციამ დიდი დანაკლისი განიცადა - გარდაიცვალა შუახვევის რაიონის სოფელ მახალაკიძეების ფრიდონ მახარაძის სახელობის საჯარო სკოლის დირექტორი ზურაბ ზევერიას ძე დარჩიძე.



დემიურ მოსწრებასა და ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მოპოვებულ შედეგებში აისახებოდა. სკოლა აქტიურად ერთვებოდა კონფერენციებში, რასაც მოპოვებული სიგელები და მადლობის ბარათები ადასტურებს. 29 წლის განმავლობაში, რაც სკოლის დირექტორი იყო, სკოლამ მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის

საქმეში საქართველოსა და აჭარის განათლების სამინისტროებისგან მადლობები დაიმსახურა.

პროფესიულ საქმიანობაში მიღწეულ წარმატებებს პოლიტიკურ სარბიელზე საქმიანობასაც უთავსებდა. 4 წლის განმავლობაში შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი იყო და მისი ინიციატივით რიგი პრობლემები ამომჩრეველთა სასარგებლოდ გადაიჭრა. სოფელში მისი ჩარევითა და ორგანიზებით მრავალი პროექტი განხორციელდა. ერთ-ერთი იყო ბაგაბაღის ახალ შენობაში გადასვლა, რასაც მოსწრეო კიდევ.

საზოგადოებასა და პროფესიულ საქმიანობაზე შეყვარებული კაცი პირადი ცხოვრებითაც მაგალითის მიმცემი იყო. კარგი და წარმატებული შვილების გამზრდელმა, ერთგულმა თანამეცხედრემ მტკიცებულად განიცადა შვილის მოულოდნელი დაკარგვა, გარკვეულწილად ესეც ვახდა საბაბი მისი ჯანმრთელობის შერყევისა.

თითქოსდა იტიბარს არ იტებდა, კიდევ ამყობდა, რომ დაკარგული შვილის კვალზე სტუდენტ შვილიშვილებს პატრონობდა, მაგრამ... გვწამს, რომ მის საქმეებს 7 შვილიშვილი წარმატებით გააგრძელებს.

წავიდა ჩვენგან, სამშობლოსა და საზოგადოებაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანი. გვჯერა, მისი საქმე და სახელი თაობების, განსაკუთრებით მისი აღზრდილობისა და კოლეგების მეხსიერებას დიდხანს შემორჩება. ნათელი და სანთელი - ბატონი ზურაბის ხსოვნას.

შუახვევის რესურსცენტრი,
სამიკ „შუახვევის რაიონული საბჭო“,
მახალაკიძეების საჯარო სკოლა

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის შუახვევის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე და წევრები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მახალაკიძეების საჯარო სკოლის დირექტორი

ზურაბ დარჩიძე
და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს.

ლევან ნატარძე ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა მახალაკიძეების საჯარო სკოლის დირექტორი

მთავარი რედაქტორი მარიანა მითაიშვილი	გამომცემი რედაქტორი ირმა შერვაშიძე ლიტერატურული რედაქტორი ეთერ სომარიკი	რედაქცია პასუხს არ ავებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე. ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.	გამომცემი - შპს «ბანკიი აჭარა ლა ალპარია» კოორდინირებული მომსახურება - შპს «კოლორ პრინი» მის: ქ. თბილისი, ქ. ბაქდაშაძის ქ. №3	მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლშვილის ქ. №2 ტელ: 27-13-31 ინფო და აკრედიტაცია გაზეთი აჭარის კომ. ცენტრი დასაბავლელ ხელმოწერები 10/10/24, 18.10.24.	დირექტორი მამუკა პერიკი
---	--	---	---	--	--

„მოკვითილი“ – პრემიერა ბათუმის დრამატულ თეატრში

მარინა ხოთარაძე 27 48 93

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის სამსახიობო დასი პრემიერისთვის ემზადება. 19, 20 და 24 ოქტომბერს 146-ე თეატრალური სეზონი სპექტაკლით „მოკვითილი“ (ვაჟა-ფშაველას მოთხრობის მიხედვით) გაიხსნება. დამდგმელი რეჟისორია ვატო ჭულელი, მხატვარი - ხატია დავითაშვილი, კომპოზიტორი - ლუკა პაჭკორია, ქორეოგრაფი - თიკო ქლიავა, რეჟისორის თანაშემწე - ელენე კომახიძე

სპექტაკლში მონაწილეობენ მსახიობები: დავით ჭაყელი, ლაშა კონცელიძე, ლია აბულაძე, ნატო გოგიტაური, ნანა კიკვაძე, ლევან თედორაძე, მიხეილ ლომიძე, ქეთა ბარამიძე, გიორგი ყურავა, ზაზა ზოიძე, სესე მიქავა, ჯემალ ველიძე, ხატია ფოფხაძე, თორნიკე ბარამიძე, ზურაბ გორგილაძე, ტამანგო ჭლერია, თამარ ბოლქვაძე, მარიამ მაშავა და ალექსანდრე ფალავა.

ჩემთვის სასიამოვნო სიუპრიზი იყო მსახიობებთან უშუალო ურთიერთობის დამყარება. 18 მსახიობია დაკავებული ამ სპექტაკლში. მოგესხენებათ, ვაჟა-ფშაველას „მოკვითლი“ მე-19 საუკუნეში, 1894 წელს დაიწერა და დღემდე, ისევე როგორც ვაჟას მთელი შემოქმედება, აქტუალურია. მეტიც, ვფი-

ქრობ, მიმდინარე მოვლენებსაც ეხმაურება. ვცდილობთ, ისეთი მნიშვნელოვანი აქტენტები გავაკეთოთ, რომ ადამიანის შინაგანი მდგომარეობა გამოიკვეთოს, რაზეც ამდენს ზრუნავდა ვაჟა. ისე ვართ შეცვლილები დღეს, რომ მაქსიმალურად ვცდილობთ, ადამიანი ჩვენში ჩავკეტოთ და სხვა რამეებს მივაქ-



„აღამიანებს შორის გაღებულ ლიტერატურულ ხილვებს ჩაბყობა არ ეშუქება“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

ფესტივალმა „შემოდგომის სერენადა“ სამი დაუვიწყარი დღე აჩუქა ლიტერატურის მოყვარულებს და კიდევ ერთხელ გვაგრძობინა, რომ ლიტერატურას, ზოგადად, ხელოვნებასა და კულტურას უდიდესი როლი აქვს ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაში. ფესტივალის ფარგლებში სხვადასხვა სკოლაში, ასევე, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულმა შეხვედრებმა, საჯარო ლექციებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ახალგაზრდებს ძალიან სჭირდებათ მსგავსი ტიპის აქტივობები, რათა უფრო მეტად დაუახლოვდნენ ლიტერატურას, შეხვდნენ მათთვის საყვარელ მწერლებს, პოეტებს და ძირადად დაუსვან ყველა ის კითხვა, რაც აინტერესებთ

- ძალიან ბედნიერი ვარ, ჩემთვის საყვარელ პოეტებს რომ შევხვდი. განსაკუთრებით მიყვარს თემურ ელიაშვილი, რომელიც მისი პოეზია ჩემში არსებულ ეგზოტურიცისტულ კითხვებს მეტწილად პასუხობს. მას რომ ვუსმენ, ასე მგონია, სხვა სამყაროში ვარ ასევე სხვა სამყაროდან მოსულ ადამიანთან ერთად. მადლობა „შემოდგომის სერენადას“ ჩემი რუტინული დღეების გამრავალფეროვნებისთვის, - გვითხრა სტუდენტმა ნინო ბერიძემ.

- „შემოდგომის სერენადა“ ის ფესტივალია, რომელმაც სულ უნდა იარსებოს, - გვითხრა მწერალმა ნიაზ ზოსიძემ, რომელიც განსაკუთრებით ეფერება „ხმათა ხვედრებისა და ღმერთების ენას“, განსაკუთრებული სისადავით მოაქვს ჩვენამდე ყველა ნანახი თუ გაგონილი ისტორია.

- იქ, სადაც ლიტერატურაა, იქ, სადაც წიგნი და განათლებაა, ყველაფერი საინტერესო და მნიშვნელოვანია. ამ მხრივ ბათუმი გამორჩეული ქალაქია, რომლის შემადგენელი ნაწილი გახდა „შემოდგომის სერენადა“ - ფანტასტიკური ლიტერატურული ფესტივალი. აქ სტუმარი არ არსებობს - ყველანი

მასპინძლები ვართ, ყველა ცნობილი მწერალი, პოეტი დღეს ბათუმს ეფერება, ავებს სიტბოთი და სიყვარულით. ყველაზე მთავარი, რაც ამ ფესტივალს აქვს, საზოგადოების ყველა ფენის მოცვაა. ღირსებად მიმანჩია ისიც, რომ როგორც შარშან, წელსაც ცნობილი პოეტები, მწერლები შეხვდნენ მოსწავლეებს, სტუდენტებს, გაცვალეს ემოციები, ამაზე კარგი მართლა არაფერია. მიუხედავად ტექნოლოგიური ეპოქისა, მიმანჩია, რომ წიგნს მაინც ვერაფერი ცვლის. სოციალური ქსელები გაძლევს ინფორმაციას, მაგრამ სულიერი საზრდოს - წიგნი. წელს „შემოდგომის სერენადა“ უკვე საერთაშორისო ფესტივალად იქცა და დაწმუნებული ვარ, გასაღდ უფრო მასშტაბური გახდება, მეტი მწერალი და პოეტი ჩაერთვება მასში, - აღნიშნა ნიაზ ზოსიძემ.

ფესტივალის მნიშვნელობაზე ისაუბრა პოეტმა ბელა ქებურიამ. მისი თქმით, ბათუმს განსაკუთრებით უხდება ყველა ის ფესტივალი, რომელიც ლიტერატურასთან, ხელოვნებასა და კულტურასთან არის დაკავშირებული.

- სერენადა სიყვარულის ერთგვარი საგალობელია და მოხარული ვარ, რომ ჩვენი ქართული მწერლობის ბრწყინვალე წარმომადგენლები ბათუმიდან მთელ საქართველოს სიყვარულის საგალობელს უმღერიან. ყველაზე მნიშვნელოვანია, სიყვარული განაგრძო, გააგრძელო და ადამიანების გულგებამდე მიიტანო ის ენერგეტიკა, რომელიც ცვლის ცნობიერებას. „შემოდგომის სერენადა“ ზუსტად შერჩეული სახელწოდებაა და მადლობას ვუხდით რომ აბუსელოდეს, პროექტის დამფუძნებელს, ასევე აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, რომ ასეთ პროექტებს ასეთი ფართო მხარდაჭერა აქვს. მადლობა აჭარის მწერალთა სახლსა და ყველა იმ ადამიანს, ვინც გულშემატკივრობს ამ არაჩვეულებრივ ფესტივალს. ყველაფერს

ციოთ ყურადღება. ამ სპექტაკლით გვიანდა „ამოვარქვივით“ ადამიანის შინაგანი მდგომარეობა. სწორედ ამაში გვერდში მიდგას მთელი შემოქმედებითი გუნდი, რისთვისაც უდიდეს მადლობას ვუხდით მათ, - გვითხრა რეჟისორმა ვატო ჭულელმა.

- ყოველთვის საინტერესოა ახალ რეჟისორთან მუშაობა, რადგან ახალ გამოცდილებასთან გაქვს საქმე. ვატოს მისამართით კომპლიმენტებს არ დავიშურებ, რადგან ძალიან კარგი რეჟისორია, არ ვაჭარბებ. აბსოლუტურად მომზადებული მოვიდა, ზუსტად

იცოდა, რა უნდოდა და ჩვენთან ერთად მიზნისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევა. რაც შეეხება ჩემს როლს, საკმაოდ რთული პერსონაჟია. ყველაზე მეტად რაც მხიბლავს, ყოველ მის ქმედებას აქვს ორი მხარე. თუმცა, მაყურებლისთვის მარტივად აღქმადი იქნება ეს ყველაფერი. ცხოვრებაშიც ასეა, როცა რაღაცას ვაკეთებთ, ეს ვილაციისთვის ცუდია, ვილაციისთვის - მისაღები. გაანჩია, რომელ მხარეს ვირჩევთ და რომელი კუთხიდან ვუყურებთ ამ ყველაფერს, - გვითხრა მსახიობმა დავით ჭაყელმა.



ლებ საუბარს:

„გამოვიცილი ვაზაფხულებს, მადლიანს და ცოდვიანს, შემოდგომას სხვანაირი აყვავება სცოდნია“.

„შემოდგომის სერენადაში“ მონაწილე თითოეულ მწერალსა და პოეტს, ყველა მხარდამჭერსა და გულშემატკივარს მადლობა გადაუხადა ფესტივალის დამფუძნებელმა და ორგანიზატორმა, პოეტმა რომ აბუსელოდეს.

- წელს „შემოდგომის სერენადაში“ სტატუსი „საერთაშორისო“ სრულიად გაამართლა, თურქეთიდან მოწვეულმა სტუმრებმა განსაკუთრებული ემოცია შემოიტანეს, ასევე მნიშვნელოვანი იყო ფესტივალის აფხაზური ნაწილიც. წელს სტუდენტებსაც შეხვდნენ მონაწილეები, რამაც ასევე ძალიან გაამართლა. „შემოდგომის სერენადა“ აშკარად მზარდი და სამომავლოდ უამრავ სიუპრიზს გვპირდება, - აღნიშნა რომ აბუსელოდეს.

ფესტივალი, რომლის მიზანი თანამედროვე ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციაა, აჭარის მწერალთა სახლის ორგანიზებითა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა.

